დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრ(ებ)ი: თამარ საჩანელი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203827083

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, თოფურიას ქ.N2
საფოსტო ინდექსი	ქ. თბილისი, თოფურიას ქ.N2
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.waldorfschule.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	waldorfschule@waldorfschule.ge; waldorfschule@waldorfschule.edu.ge; fwstbil@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 254 54 00

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 25 0001058350 03.09.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	01.10.2025 02.10.2025

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 01 და და 02 ოქტომბერს. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, განხორციელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
460	420

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. განიხილა დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზებზე სკოლის რეაგირება კორექტირებული დოკუმენტაციის სახით.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო იმ დოკუმენტაციასაც, რომელიც სკოლის ინფორმაციით, მომზადებული იყო მონიტორინგის ვიზიტამდე, თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას მისი წარმოდგენა სკოლის მხრიდან ვერ განხორციელდა.

წარმოდგენილი არგუმენტების და მასალების განხილვის საფუძველზე, შეფასდა მათი შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან და საბოლოო რეკომენდაციების ფორმულირება განხორცილედა ამ ინფორმაციის გათვალისწინებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების განხორციელება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.* *შესრულების ვადები - 31.05.2026*
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლაში საქმისწარმოება განხორციელდეს დადგენილი წესის შესაბამისად.* *შესრულების ვადები - 12.01.2026*

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.2.4.1	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სკოლის კვების ბლოკი შესაბამისობაში მოვიდეს HACCP - ის სტანდარტთან.* *შესრულების ვადა - 30.04.2026*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1	*სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს*	*მიზანშეწონილია ხედვის ფორმულირება მოხდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, და ასახოს სკოლის გრძელვადიანი მისწრაფებების შესაბამის მდგომარეობა დროის განსაზღვრული პერიოდისთვის.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1. 1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის*	*მიზანშეწონილია, უახლოეს მომავალში, შესრულდეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის კვლევით ნაწილში მოცემული რეკომენდაციები.*

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლას მიეცა რჩევა - გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, და ვებ გვერდზე, 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ბმულზე აიტვირთოს შესაბამისი კორექტირებული სამოქმედო გეგმა

ინდიკატორი N3.7.1.1	*სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება*	*სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიუჯეტის დამტკიცება წინა საანგარიშო წლის ბოლოს, რაც ხელს შეუწყობს დროულ შესყიდვებისა და ფინანსური აქტივობების შეუფერხებელ განხორციელებას.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისისა და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშავოს მისია, ხედვა და ღირებულებები, და საბოლოო მისია და სასკოლო გეგმა განათავსოს ვებ გვერდზე. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.10.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 27.10.2023 -10.11.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს მისიის ხედვის და ღირებულებების მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაზიარება და გაზიარების მტკიცებულებების*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.5.	*სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 13.11.2023-13.11.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*

ინდიკატორი N1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 15.09.2023 - 20.09.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეადგინოს სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და შემუშავებულია ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 13.11.2023-27.11.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს აქტივობები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორებს, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 13.11.2023-27.11.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,*	*რეკომენდაცია შესრულებულია*

	მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	*რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 15.09.2023-20.09.2023*	
ინდიკატორი N1.2.2.2.	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმვა მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 15.09.2023-20.09.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.2.3.	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 15.09.2023-20.09.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N1.2.2.4.	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, გამოიყენოს შესრულების ანგარიში სტრატეგიული დაგეგმვისას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2024 -05.07.2024*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	
ინდიკატორი N3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სხვადასხვა დოკუმენტებში ერთგვაროვნად და მკაფიოდ*	*რეკომენდაცია შესრულებულია*

	ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	განსაზღვროს სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 02.10.2023-20.10.2023	
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ა) განსაზღვროს მასწავლებლის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც შეესაბამება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნებს; ბ) უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენა და პირად საქმეებში განთავსება. აღნიშნული აქტივობების შესრულების ვადებია - ა) 04.12.2023-24.12.2023 ბ) 24.08.2023- 29.09.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა პოზიციისთვის. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 04.12.2023-24.12.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.2.1.1	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვროს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 18.12.2023-29.12.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაგეგმოს პერსონალის პროფესიული განვითარების	რეკომენდაცია შესრულებულია

	შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	აქტივობები პროფესიული საჭიროებების საფუძველზე. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 08.01.2024-20.01.2024	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმა შესაბამის უწყებასთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 18.09.2023 -29.12.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეათანხმოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 12.07.2023-29.12.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, პერიოდულად შეაფასოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები და შეფასების შედეგები გამოიყენოს უსაფრთხოების პროცესების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 18.09.2023-30.06.2024	რეკომენდაცია არ არის შესრულებული
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განაახლოს საჯარო რეესტრში იჯარით გადაცემული ფართის რეგისტრაციის თაობაზე ამონაწერი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 18.09.2023-25.11.2023	რეკომენდაცია შესრულებულია

	ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;		
ინდიკატორი N3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშავოს ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 10.01.2024 -31.01.2024	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს საქმისწარმოების წესის მოთხოვნათა დაცვა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 14.09.2023 -14.09.2024	რეკომენდაცია არ არის შესრულებული
ინდიკატორი N3.6.2.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დანერგოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 25.09.2023 -29.12.2023	რეკომენდაცია შესრულებულია
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია	
ინდიკატორი N4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, გაითვალისწინოს შინაგანაწესით და დრესკოდით მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებები და უზრუნველყოს უფლებების დაცვის გარანტია. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 25.09.2023-25.10.2023	რეკომენდაცია შესრულებულია

ინდიკატორი N4.1.1.2.	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დააკონკრეტოს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები და უზრუნველყოს გამჭვირვალობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 25.09.2023-25.10.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N4.1.2.1.	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშავოს მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 25.09.2023-25.10.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N4.1.2.2.	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შესაბამისობაში მოიყვანოს პირველ კლასში ჩარიცხვის წესი მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 25.09.2023-25.10.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N4.2.2.2	*სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მოსწავლეებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შეიმუშავოს ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან*	*რეკომენდაცია შესრულებულია*

ინდიკატორი N4.2.3.1.	*სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შესაბამისობაში მოიყვანოს ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის ბრძანება №16/ნ-ის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2016 წლის 18 მაისს დამტკიცებული 40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 11.09.2023-22.12.2023*	*რეკომენდაცია შესრულებულია*
ინდიკატორი N4.2.4.1.	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს ბუფეტისთვის უსაფრთხო კვების ე.წ. HACCP-ის სისტემა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 7.09.2023-15.10.2023*	*რეკომენდაცია არ არის შესრულებული*

	შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);		

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსია, არ არის შემუშავებული. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის პროექტი, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ხედვის პროექტი ისეა ფორმულირებული, რომ ასახავს სკოლის ამჟამინდელ მდგომარეობას. (სკოლაში სწავლება ხორციელდება ანთროპოსოფიულ ადამიანთმცოდნეობაზე დაფუძნებული საერთაშორისოდ აღიარებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებით და ეყრდნობა ქართულ კულტურას. მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის პედაგოგები და მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ და ინაწილებენ პასუხისმგებლობას, როგორც აღმზრდელობით, ასევე სკოლის მართვის სფეროში. სკოლის სასწავლო პროგრამა შეესაბამება როგორც ვალდორფის სკოლების საერთაშორისოდ აღიარებულ კურიკულუმს, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სკოლა ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა. ხარისხის გაუმჯობესებისა და ამაღლების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგია, რომელიც მუდმივად ცვალებადია დროის მოთხოვნების შესაბამისად.)

სკოლის მეთოდოლოგიის თანახმად, გაძღოლის კონფერენციისა და გამგეობის ერთობლივ შეხვედრაზე ხდება მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება. გაძღოლის კონფერენციის წარმომადგენლის განცხადებით, ფილოსოფიის საბოლოო სახით დამტკიცება დაგეგმილია მიმდინარე წლის ოქტომბერში. საბოლოო დამტკიცემაბდე, ფილოსოფიის პროექტს, კიდევ ერთხელ განიხილავს საერთო კრება.

სკოლას მიეცა რჩევა - მიზანშეწონილია, ხედვის ფორმულირება მოხდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, და ასახოს სკოლის გრძელვადიანი მისწრაფებების შესაბამის მდგომარეობა დროის განსაზღვრული პერიოდისთვის.

ხარვეზი - სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) საბოლოო ვერსია, არ არის შემუშვებული.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (გაძღოლის კონფერენციისა და გამგეობის ერთობლივი შეხვედრის ოქმი), რომელიც ადასტურებს, რომ განიხილეს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც საბოლოო სახით დამტკიცდა 2025 წლის 28 ოქტომბერს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის პროექტი. მისიის თანახმად, სკოლა ორინტირებულია მოსწავლის უნარების მაქსიმალურ განვითარებაზე როგორც ინტელექტუალური, ასევე პრაქტიკული და შემოქმედებითი მიმართულებით, რაც განაპირობებს ახალგაზრდა ადამიანში რეალობისადმი თვალის გასწორების უნარისა და მისი შესაძლებლობების რწმენის ჩამოყალიბებას. სკოლის მიზანია კაცობრიობის განვითარების შესახებ სიღრმისეული განათლების მიცემით ახალგაზრდა ადამიანს განუვითაროს დედამიწის მოქალაქეობის ღრმა პასუხისმგებლობა.

ხედვა ისეა ფორმულირებული, რომ ასახავს სკოლის ამჟამინდელ მდგომარეობას. თუმცა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის გადანაწილებით, ორიენტირებულია მოსწავლის ჯანსაღ განვითარებაზე. ხარისხის გაუმჯობესებისა და ამაღლების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგია, რომელიც მუდმივად ცვალებადია დროის მოთხოვნების შესაბამისად.

ფილოსოფიის წარმოდგენილი პროექტით ჩანს, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. თუმცა

ხარვეზი - სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) საბოლოო ვერსია, არ არის შემუშვებული.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (გაძღოლის კონფერენციისა და გამგეობის ერთობლივი შეხვედრის ოქმი), რომელიც ადასტურებს, რომ განიხილეს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც საბოლოო სახით დამტკიცდა 2025 წლის 28 ოქტომბერს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსია, არ არის შემუშვებული. სკოლაში შემუშავებულია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლი 27 იანვარს გაძღოლის კონფერენციის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების პროცესს წარმართავს გაძღოლის კონფერენციისა და გამგეობის წევრებისგან შედგენილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება გაძღოლის კონფერენციის გადაწყვეტილებით. სამუშაო ჯგუფი ირჩევს ჯგუფის ხელმძღვანელს. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება; სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები წარედგინება სკოლის გაძღოლის კონფერენციას, გამგეობას და პედაგოგიურ კონფერენციას; გაძღოლის კონფერენციისა და გამგეობის ერთობლივ შეხვედრაზე ხდება მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება;

N28 გაძღოლის კონფერენციიმ 2025 წლის 14 აპრილს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით, დაამტკიცა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, სკოლის ექიმი, სკოლის ტექნიკური მენეჯერი, საქმეთა მმართველი.

სკოლამ წარმოადგინა ჯგუფის მუაშობის დამადასტურებელი ოქმები. მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გაცნობა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მისია, ხედვა და ფილოსოფია) გაზიარების მექანიზმებია სკოლის ვებ-გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელი.

მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გაცნობა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.

სკოლის ვებ გგვერდზე ატვირთულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები (პროექტი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის შენობაში საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6 . სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება - ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები)
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*

- *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები*
- *გაძღოლის კონფერენციის ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.

   მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში, სკოლა უზრუნველყოფს

სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას ხედვას და ღირებულებებს. გეგმაში განსაზღრულია ხუთი სტრატეგიული მიზანი, რომელიც თავსებადია სკოლის მისიასთან (პროექტთან).

სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშვებული და დამტკიცებულია გაძღოლის N39 კონფერენციის მიერ 2023 წლის 26 ივნისს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. **არ იკვეთება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას - 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რიგით I, II, III და IV აქტივობები არ არის გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმით. ხოლო საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების (შენობის რეკონსტრუქცია, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, პარლამენტთან და სამინისტროსთან თანამშრომლობა) შესაბამისი აქტივობები, არ არის გათვალისწინებული ერთწლიან გეგმაში.**

ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმის პროექტს, SWOT ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი და წარუდგენს სკოლის გაძღოლის კონფერენცია და გამგეობას. სკოლაში სამუშაო ჯგუფი შექმნილია მხოლოდ ფილოსოფიის შემუშავების მიზნით.

ხარვეზი:

- არ იკვეთება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას
- არ არის შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშვებდა სამოქმედო გეგმას. სკოლამ ვერ წარმოადგინა განხორციელებული SWOT ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამოქმედო გეგმა არ არის შემუშვებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (კორექტირებული სამოქმედო გეგმა, სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ბრძანება, და განხორციელებული SWOT ანალიზის შედეგები), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული და ვადები.

ხარვეზი - არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (კორექტირებული სამოქმედო გეგმა), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
- *თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *გაძღოლის კონფერენვიის ოქმები*
- *2025-2026 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლაში ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2025 წლის 27 იანვარს. მეთოდოლოგიით დამტკიცებული ვადები სტრატეგიული განვითარების გეგმასთან მიმართებაში, ჯერ არ არის დამდგარი. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ 2025 წლის იანვარში განხორციელდა სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი. წარმოდგენილია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. თუმცა მონიტორინგის პროცესი არ შეესაბამება მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგიის თანახმად, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ხარვეზი - ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ჯგუფი შექმნილი არ იყო. შესაბამისად, მონიტორინგის მიმართულებით განხორცილებული აქტივობები მეთოდოლოგიას არ შეესაბამება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს დასკვნა და რეკომენდაციებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
- *სტატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი*
- *სამოქმედო გეგმის სსრულების ანგარიში*
- *სკოლის ვებ გვერდი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის წესდებით და შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები. სკოლაში ასევე შემუშვებული და დამტკიცებულია პერსონალის ფუნქციები, რომლითაც განსაზღრულია მასწავლებლების, საქმეთა მმართველის, სკოლის ფსიქოლოგის, სკოლის ბუღალტრის, სკოლის ექიმის ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკარი და ტექნიკური მენეჯერი ტექნიკურ პერსონალად არის განხილული, როცა შინაგანაწესით ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად არის წარმოდგენილი.

სკოლის მიერ წარმოადგენილ დოკუმენტაციაში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების თაობაზე, იკვეთება არაერთგვაროვნება. მაგალითად, საგარანტიო საბჭო არ არის სკოლის სტრუქტურულ ერთეულად განსაზღვრული, თუმცა, წესდების მიხედვით, ამ ორგანოს ნებართვაა საჭირო სკოლაში კონრეტული ფუნქციის განსახორციელებლად. მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რეორგანიზაცია/ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებში ცვლილების დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება რომ სხვადასხვა სტრუქტურული ერთულების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და რიგ შემთხვევაში იწვევს ურთიერთგადაფარვას. მაგალითად, სკოლის შინაგანაწესის მე-8 მუხლის თანახმად, სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს გამგეობა, ხოლო წესდების მე-10 მუხლის თანახმად, გამგეობა, საქმეთა მმართველთან ერთად, გაძღოლის კონფერენციასთან შეთანხმებით შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს და დასამტკიცებულად წარუდგენს საერთო კრებას.

შინაგაგანაწესის მე-19 მუხლის თანახმად, სკოლის იურისტის ფუნქციად განსაზღვრულია სკოლაში შემოსული საჩივრების, განცხადებების განხილვა და დასკვნების მომზადება. აღნიშნული ფუნქცია, შინაგანაწესის თანახმად, ეკისრება დისციპლინურ საბჭოსაც.

ხარვეზი - აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთულების/პირების ფუნქციები, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და რიგ შემთხვევაში იწვევს ურთიერთგადაფარვას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (თანამდებობრივი ინსტრუქციების ამსახველი კროექტირებული დოკუმენტი, კორექტირებული შინაგანაწესი), რომელითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

მიუხაედავად, იმის, რომ რიგ შემთხვევაში, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ და ერთგვაროვნად განსაზღვრული არ არის, წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინგანაწესი*
- *შრომითი ხელშეკრულებები*
- *პერსონალის ფუნქციები*
- *სკოლის წესდება*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად პოლიტიკის მიზანია, დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი

ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით, დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური .

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხევვაში, სკოლა წარმატებით რეაგირებს გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე და ახდენს მასწავლებლის ჩანაცვლებას სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები (კონკურსის გამოცხადება, კომისიის შექმნას და ა. შ) . სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის შერჩევა სკოლის მიერ დადგენილი წესით, რომლიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ხარვეზი - სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ სკოლაში პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქცია. აღნიშნული დოკუმენტის ასევე განსაზღვრულია სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **დოკუმენტით არ არის სრულყოფილად განსაზღვრული სკოლაში დასაქმებულ პირთა (ბუღალტრის, საქმეთა მმართველის, მდივან-რეფერანტის, სახლის ოსტატის, ხელგარჯილობის მასწავლებლის, დირიჟორის, ხელოსნობის მასწავლებლის და ა.შ) საკვალიფიკაციო მოთხოვნოები.**

ხარვეზი:

- **არ არის სრულყოფილად განსაზღვრული სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნოები.**

- **სკოლამ სრულყოფილად ვერ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები (ბუღალტერი, საქმეთა მმართველი).**

- **სკოლაში დასაქმებულია უსტატუსო მასწავლებლები (ქართულის, ინგლისურის მასწავლებელი, მუსიკის, გერმანულის მასწავლებლები, ორი სპეციალური მასწავლებელი) რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (თანამდებობრივი ინსტრუქციების ამსახველი კორექტირებული დოკუმენტი, საქმეთა მმართველის პირადი საქმე, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილი), რომელითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები - საერთო კრება, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია, პედაგოგიური კონფერენცია, რომელთა საქმიანობა ადასტურებს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის თანახმად, ხარისხის ჯგუფი უზრუნველყოფს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას გაკვეთილებზე პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით; პედაგოგიური კონფერენცია პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, განიხილავს ჩატარებული ეპოქებისა და გაკვეთილების შედეგებს კლასების მიხედვით, ახდენს შედეგების გაანალიზებას და ღონისძიებების დაგეგმვას. საგნობრივი კათედრების ფუნქციად განსაზღრულია, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ გაკვეთილებზე დასწრება ხდება წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად.

შინაგანაწესის 31 - ე მუხლით განსაზღვრულია პერსონალის წახალისების მექანიზმები - თანამშრომლის მიერ პროფესიულ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, წარმატებული და კვალიფიციური პედაგოგიური საქმიანობისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, გამგეობამ შეიძლება გამოიყენოს წახალისების შემდეგი ღონისძიებები - მადლობის გამოცხადება და ფულადი პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება*
- *.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (გაკვეთილზე დასწრების ოქმი), რომელიც ადასტურებს, რომ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შედეგეგად გაიცემა რჩევები პროფესიული განვითარების მიმართულებით.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგიურ კონფერენციაზე ჩართულობით ხდება მასწავლებელთა აუცილებელი საჭიროებების იდენტიფიცირება და იგეგმება კვალიფიკაციის ამაღლება და მასწავლებელთა გადამზადება.

მასწავლებლებთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მენტორის წლიური ანაგრიში) ადასტურებს, რომ სკოლაში ახალი მასწავლებელი მუშაობას იწყებს მენტორის მეთვალყურეობით. მენტორი უზრუნველყოფს ახალბედა პედაგოგის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, ესწრება გაგკვეთილებზე და ხელს უწყობს მისი პედაგოგიური კომპეტენციების გაძლიერებას.

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა დასაქმებულ პირთა და მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგება, რის საფუძველზეც ხდება განხორციელებული საქმიანობის ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია აქტივობები პროფესიული განვითარების მიმართულებით, რომლის განხორციელებისთვის სკოლის ბიუჯეტში განსაზღვრულია ფინანსური რესურსი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (მართვის ანუ საკოორდინაციო ჯგუფის ანგარიში) და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უზრუნველყოფილია სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების ე.წ. ვალდორფის პედაგოგიკის ტრენინგებში მონაწილეობა. 2024-2025 სასწავლო წელს კასელის სემინარში გადამზადება გაიარეს მათემატიკის, ინგლისურის და ლიტერატურის მასწავლებლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის განვითარების პოლიტიკის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა, ტრენინგების, სემინარების ორგანიზებით, ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი.

სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები: მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- მართვის ანუ საკოორდინაციო ჯგუფის *ანგარიში*
- *მენტორის წლიური ანაგრიში*
- *გაკვეთილზე დასწრების ოქმი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლში შემუშავებული და დამტკიცებულია სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სასწავლებლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვის ჯგუფი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში ხორციელდება პროცესების შეფასება და ანალიზი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით, იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესებად განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითად პროცესებად - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, არაფორმალური განათლების განვითარება; სკოლის დამხმარე პროცესებად - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 38 - ე მუხლით, განსაზღვრულია განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღების წესი. სკოლაში ასევე შემუშავებული და დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *შრომითი ხელშეკრულებები*
- *მშობელთან/კანონიერ წამომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი*
- *ერთწლიანი სამოწმედო გეგმის შესრულების ანგარიში*
- *მართვის ანუ საკოორდინაციო ჯგუფის ანგარიში*
- *გამგეობის ანგარიში*
- *სკოლის ანგარიში*
- *კათდრის ანგარიში*
- *ტექნიკური, შესყიდვების და უცხოეთთან ურთიერთობის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული სამუშაოების ანგარიში*
- *დისციპლინის საბჭოს ანგარიში*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობელთა ინფორმირების წესი, რომლის თანახმად სკოლის მიერ მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გაკვეთილების გაცდენა–დაგვიანების შესახებ, მშობლის ინფორმირების და მისი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი,

შეხვედრები, სკოლის განცხადებების დაფა ან სხვა. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას უზრუნველყოფს კლასის მასწავლებელი/მზრუნველი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები - საერთო კრება, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია, პედაგოგიური კონფერენცია, რომელებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი მასწავლებლები და მშობლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის წესდება*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლამ წარმოადგინა:

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც წლის 15 სექტემბრის MIA 8 25 02995849 წერილით შეთანხმებულია - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აკრედიტირებული შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ 2023 წლის 15 მაისის დასკვნა, რომლის თანახმად, სკოლის შენობაში მოთხოვნილი ნორმები დაკმაყოფილებულია.
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის N004939423 დასკვნა, რომლის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებულია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. შენობის ხანგრძლივი, უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დასკვნის კვლევით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადასტურდა, სკოლა ყოველწლიურად ატარებს ევაკუაციის სწავლებას საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით.

სკოლას ეძლევა რჩევა - მიზანშეწონილია, უახლოეს მომავალში, შესრულდეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის კვლევით ნაწილში მოცემული რეკომენდაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის თანახმად, სკოლის ექიმი ვალდებულია მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე, შეაფასოს მდგომარეობის სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ.

სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით.

დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლამ წამოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც 2024 წლის 26 დეკემბრის MES 2240001661881 წერილით, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლზე, დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულებაზე. სკოლის ტერიტოტრიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან (შპს მაგისტრი), რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დაცვას ცოცხალი ძალით.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭრუვილია ვიდეოკამერებით, რომლის გამოსახულების მონიტორინგი ხდება მონიტორზე დაცვის სამსახურის სამუშაო ჯიხურში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც, სკოლის შინაგანაწესის თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგიური კვლევა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კლიმატის და მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებების შესასწავლად; თანატოლთა შორის თვითდამკვიდრებისა და სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა; ზრუნვა მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციისთვის; ქცევაში გარკვეული დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა; საჭირო ფსიქოლოგიური რეკომენდაციების გაწევა მოსწავლესთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად; პედაგოგიური ფსიქოლოგიის თეორიის, განათლების პოლიტიკის საკითხების და კონკრეტული სკოლის კულტურის სისტემური ანალიზის საფუძველზე მოსწავლეების სწავლის სირთულეების კვლევა და მათზე სათანადო რეაგირება; სკოლაში ფსიქიკური ჯანმრთელობის და მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშეწყობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებული 2 დამლაგებელი; შემუშავებული და დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის ტერიტორიაზე დასუფთვების მონიტორინგზე, პასუხისმგებელია სკოლის ექიმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს - სთან „პრემიუმ სეიფთი“ , რომელიც უზრუნველყოფ სკოლას მომსახურებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებში.

შემუშვებული და დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

შინაგანაწესის თანახმად, დაუშვებელია პერსონალის ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესების სასარგებლოდ. პერსონალმა აქტიურად უნდა იმოქმედოს, რათა არ დაუშვას საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება მესამე პირთა ინტერესებისათვის. დაუშვებელია პირადი ინტერესებისათვის იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმოამდგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. შინგანაწესით, საქმისწარმოებით დამთავრებული საქმეების არქივში მიღებაზე, აღრიცხვაზე და დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მდივან-რეფერანტს. მისი ფუნქციაა არქივიდან ცნობების, ბრძანების ამონაწერების და სხვა დოკუმენტების გაცემა. საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა. მიმდინარე ეტაპზე, სკოლაში მდივან-რეფერანტის პოზიცია ვაკანტურია. მის ფუნქციას ასრულებს საქმეთა მმართველი (ზეპირი განმარტებით). სკოლაში არსებული კომპიუტერები აღჭურვილია ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოების მონიტორინგის წესი, რომელითაც რეგულირდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მონიტორინგს ახორციელებენ უსაფრთხოების მენეჯერი, სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები, ფსიქოლოგი, სკოლის დარაჯი. აღნიშნული წესის თანახმად, უსაფრთხოების მდგომარეობის და ძალადობის რისკების შეფასება ხორციელდება წერილობითი ანონიმური კითხვარების საშუალებით, რომელსაც ავსებენ მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები. შეფასება ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ და შედეგები განიხილება გაძღოლის კონფერენციაზე.

უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში უნდა მომზადდეს სასწავლო წლის ბოლოს და მასში ასახული უნდა იყოს გამოვლენილი რისკები, განხორციელებული ღონისძიებები, რეკომენდაციები, შემდგომი ნაბიჯები.

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის კითხვარი ნიმუშები უსაფრთოხების მდგომარეობის თაობაზე. თუმცა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების და ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა

სკოლამ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ როგორ განახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

აღნიშნულის თაობაზე, სკოლამ მიიღო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია 2023 წელს. შესაბამისობის გეგმით, რეკომენდაციის შესრულების ვალდებულება ჰქონდა 18.09.2023-30.06.2024 დროით პერიოდში.

ხარვეზი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ვერ დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, განახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

შესრულების ვადა - 31.05.2026
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა*
- *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აკრედიტირებული შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ 2023 წლის 15 მაისის დასკვნა*
- *ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის N004939423 დასკვნა*
- *შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი*
- *დაცვის სამსახურთან (შპს მაგისტრი) გაფორმებული ხელშეკრულება*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები*
- *შპს - სთან „პრემიუმ სეიფთი“ გაფორმებული ხელშეკრულება*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი*
- *უსაფრთხოების მონიტორინგის წესი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება რომ „ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის საკუთრებაშია 5119.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 11 შენობა, საერთო ფართი 3654.3. თუმცა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერში აღნიშნულია, რომ შენობები - N6, N8 და N9 არის უფლების დამადასტურებელი და სამშენებლო დოკუმენტის გარეშე.

სკოლაში 15 საკლასო ოთახია, მათგან სამი ამავე დროს არის ქიმიის და ბიოლოგიის კლას-ლაბორატორიები, რომლებთანაც მიმდებარედ ლაბორატორიული აღჭურვილობის ოთახებია განთავსებული. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლის შენობაში არის ინგლისურის, ხელგარჯილობის სამი, მუსიკის ორი, ხატვის, კომპიუტერების, განაყოფის ოთახები. ასევე ბიბლიოთეკა, ევრითმიის დარბაზი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი. ადმინისტრაციის კაბინეტები, თოჯინების თეატრის, სასადილო, ექიმის, ფსიქოლოგის, ევრითმიისა და სამეტყველო თერაპიის ოთახები და სხვა დამხმარე სათავსოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვას. აღსანიშნავია, რომ საკლასო ოთახების უმეტესობა, აღჭურვილია ორადგილიანი მერხებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, ეს დამახასიათებელია ვალდორფის პედაგოგიკისთვის - მოსწავლეებს შორის მეტი სოციალიზაციის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

წიგნადი ფონდი დამუშვებულია საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, მოწყობილია მოძრავი პანდუსი. ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფასტრუქტურა თანაბრადაა ხელმისაწვდომი სასკოლო სზოგადოებისთვის და იძლევა სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ეზოში ხშირად იმართება სასკოლო აქტივობები - მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სააქტო და სპორტული დარბაზებში ეწყობა სასკოლო ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებით. პრინტერებით. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის. სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლითაც რეგულირდება შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, დოკუმენტების შედგენა, პირადი საქმეების წარმოება.

ხარვეზი - აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დოკუმენტის აღრიცხვა, სარეგისტრაციო და რიგითი ნომრის მინიჭება იწყება ყოველი კალენდარული წლის შესაბამისად. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ნუმერაციას იწყებს სასწავლო წლის შესაბამისად.

საქმისწარმოების წესის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე, სკოლამ მიიღო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია 2023 წელს. შესაბამისობის გეგმით, რეკომენდაციის შესრულების ვალდებულება ჰქონდა 14.09.2023 -14.09.2024 დროით პერიოდში.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა, შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა საქმისწარმოებას წარმართავს დადგენილი წესის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 12.01.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლამ წარმოადგინა შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლას დროებით სარგებლობაში გადაეცა სისტემის ლიცენზია დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი edupage. თანამშრომლებთან და მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი და სოციალური ქსელი.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ვიზულურური დათვალიერებით, დასტურდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ სკოლა თანამშრომლობს და საჭიროების შესაბამისად, დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურსცენრს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ხარვეზი - სკოლამ ვერ დაადასტურა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N 16/ნ ბრძანებით დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად, სკოლა ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგების სამინისტროში გადაგზავნას.

სკოლამ არგუმეტირებულ პოზიციასთან ერთად (რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლაში შემუშავებული იყო ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგები, თუმცა არ იყო სამინისტროში გადაგზავნილი), წარმოადგინა დოკუმენტაცია (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, 2025 წლის 29 ოქტომებერს გაგზავნილი წერილი), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი*
- *სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში*
- *ხელშეკრულება edupage-სთან და გვერდი ედუპეიჯზე https://waldorfschule.edupage.org/*
- *შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება*
- *სკოლის ვებ გვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ანხორციელებს სოციალური ქსელითა და ვებ გვერდით. ვიზუალური დათვალიერებით, ჩანს, რომ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია, არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. გავრცელებულ ინფორმაციაზე უკუკავშირს იღებს ელექტრონული ფოსტით, ან უშუალო კომუნიკაციით. მიმდინარე პროცესების და საკითხების განხილვის შედეგად, ხდება საზოგადოების მოსაზრებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი - *https://www.waldorfschule.edu.ge/*, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლას სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

სკოლას მიეცა რჩევა - გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, და ვებ გვერდზე, 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ბმულზე აიტვირთოს კორექტირებული სამოქმედო გეგმა.

ინდიკატატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი - https://www.waldorfschule.edu.ge/*
- *გვერდი ედუპეიჯზე - https://waldorfschule.edupage.org*
- *სკოლის გვერდი სოციალური ქსელში - https://www.facebook.com/WaldorfschuleTbilisi*
- *ელექტრონული ჟურნალი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ბიუჯეტის პროექტი. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში განიხილავს და დაამტკიცებს საერთო კრება.

ბიუჯეტის პროექტით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის შესრულება.

სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიუჯეტის დამტკიცება წინა საანგარიშო წლის ბოლოს, რაც ხელს შეუწყობს დროულ შესყიდვებისა და ფინანსური აქტივობების შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში მოქმედებს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას. საქმეთა მმართველი ანგარიშვალდებულია საერთო კრებისა და გამგეობის წინაშე. ბიუჯეტის შედგენა ხორციელდება გამგეობის მიერ, საქმეთა მმართველისა და გაძღოლის კონფერენციის კონსულტაციებით, ხოლო მისი დამტკიცება საერთო კრების პრეროგატივაა. ფინანსური სახსრების უშუალო მართვას ახორციელებენ გამგეობა და საქმეთა მმართველი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის წესდება*
- *სკოლის ბიუჯეტის პროექტი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა ადაპტაციისა და ემოციური თვითდამკვიდრების ხელშეწყობას, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღრულია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები.

სკოლას შემუშავებული აქვს დრესკოდი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ აღწერილია, თუ როგორი სამოსით უნდა გამოცხადდნენ მოსწავლეები სკოლაში, ასევე ჩაწერილია, რომ აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, „სკოლა იტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს შეესატყვისება თუ არა ჩაცმა ან გარეგნული იერი სკოლის დრესკოდს“.

ხარვეზი - მიუხედავად დადგენილი წესისა, მაინც სკოლა წყვეტს, არის თუ არა მოსწავლის ჩაცმულობა სკოლისთვის მისაღები, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც რისკ ფაქტორი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფისთვის.

აღნიშნულის თაობაზე, სკოლამ მიიღო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია 2023 წელს. შესაბამისობის გეგმით, რეკომენდაციის შესრულების ვალდებულება ჰქონდა 25.09.2023-25.10.2023 დროით პერიოდში.

სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მიმდინარეობს შინაგანაწესის ცვლილებაზე მუშაობა და ცვლილების პროცესში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი.

სკოლამ არგუმეტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა დოკუმენტაცია (შინაგანაწესის კორექტირებული დანართი), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური საბჭო, რომელიც, შინაგანაწესის თანახმად, პასუხისმგებელია საჩივრების/განცხადებების განხილვაზე. ასევე შინაგანაწესით, სკოლაში შემოსული საჩივრების, განცხადებების განხილვა და დასკვნების მომზადებაზე პასუხისმგებლობა, გარდა დისციპლინური კომიტეტისა, ეკისრება სკოლის იურისტს. **რაც გაურკვეველს ხდის, ვინ რა შემთხვევაში განიხილავს საჩივარს.**

სკოლის შინაგანაწესით განსზაღვრულია მოსწავლის დისციპლინური სახდელის სახეები, თუმცა **არ არის დაკონკრეტებული რომელი სახდელი, რომელ გადაცდენას შეესაბამება.**

სკოლის რეგულაციებით, **გაურკვეველია განცხადების/საჩივრის განხილვის ვადა.** შინაგანაწესის თანახმად, განცხადების/საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია 5 დღეს, ხოლო განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის შესაბამისად, განცხადების განხილვის ვადა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განისაზღვრება 10 სამუშაო დღით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღრული.

ხარვეზი :

- გაურკვეველია, ვინ რა შემთხვევაში განიხილავს საჩივარს.
- არ არის დაკონკრეტებული რომელი სახდელი, რომელ გადაცდენას შეესაბამება.
- გაურკვეველია განცხადების/საჩივრის განხილვის ვადა.

სკოლამ არგუმეტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია (კორექტირებული შინაგანაწესი) რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*
- *სკოლის წესდება*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას აქვს მოსწავლის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და eschool - ის ბაზაში სკოლის გვერდის დათვალიერებით, დასტურება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მინიჭებული აქვს DSD I (Deutsches Sprachdiplom) სკოლის სტატუსი, 2023 წლიდან კი მოიპოვა მეორე საფეხურის დიპლომის გაცემის უფლებაც. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სახით. აღნიშნული მომსახურების პირობების და საფასურის თაობაზე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

სკოლის ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს (ვებ გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, საინფორმაციო შეხვედრებს, განცხადების დაფას), სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და მუდმივად განახლებულია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება*
- *გახანგრძლივებული წრის ხელშეკრულება.*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია პირველკლასელთა, მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლეთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, ადაპტაციისა და დეზაპტაციის ნიშნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ ამ პროცესში ეხმარება კლასის დამრიგებელი. სკოლას აქვს საინტერესო პრაქტიკა - პირველკლასელებს მიმაგრებული ჰყავთ მეექვსე კლასის მოსწავლეები და ისინი ეხმარებიან სკოლის გარემოსთან შეჩვევასა და პრობლემების დაძლევაში. ახალ მოსწავლეებს ეხმარებიან თანაკლასელები, დამრიგებელი,ფსიქოლოგი და საგნის მასწავლებლები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

შინაგანაწესის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია ჩაატაროს დამატებითი გაკვეთილები მოსწავლესთან, რომელმაც საპატიო მიზეზით გააცდინა სასწავლო პროცესი.

მოსწავლეებმა და მშობლებმა, ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ აღნიშნული მიმართულებით, სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს მხარდაჭერას მოსწავლეებისთვის დამრიგებელის და საგნის მასწავლებლების ჩართულობით. თუ მოსწავლემ გააცდინა ან უბრალოდ ვერ გაიგო მასალა, მასწავლებელი დამატებით ამეცადინებს მას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება , რომ სკოლა, მოსწავლეს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოთხოვნის შემთხვევაში, ვადების დაცვით გაიცემა ცნობები, მუდმივად ახდენს მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას დაგეგმილი პროექტებისა და კონკურსების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მასწავლებლემა და მოსწავლეებმა, ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას. მოსწავლეები თვითმართველობის დახმარებით აჟღერებენ იდეებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, სოციალურ პასუხისმგებლობასა და საზოგადოების კეთილდღეობაში წვლილის შეტანას. სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა ინიციატივის მხარდაჭერა - მაღალკლასელთა დებატების კლუბის ჩამოყალიბება, დუშეთის რაიონის უნარშეზღუდულთა სახლის მხარდაჭერა, ქუჩის ძაღლებისა და

კატებისთვის სახლების აშენება, სანზონის მოხუცთა სტაციონარში საშობაო ვიზიტი, ფილმის საღამოს ორგანიზება და შემოსული თანხით სკოლის ჩასაკეტი კარადების შეძენა მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის მმართველი სტრუქტურული ერთეული საერთო კრება და გამგეობაა, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული მოსწავლის მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და მათ გადაწყვეტილების მიღებებაში მონაწილეობა ან საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება აქვთ.

ინტერვიუს დროს, მოსწავლეებმა და მშობლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ავსებენ სკოლის მიერ გამოგზავნილ კითხვარებს და გამოთქვამენ საკუთარ აზრს სკოლაში მიმდინარე პროცესებტან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეები სკოლაში, I-XII კლასის ჩათვლით ეუფლებიან სხვადასხვა ხელობას: ქსოვა, ქარგვა, ძერწვა, სპილენძის თეგვა, კარტონაჟი, აკინძვა, თეატრალური ხელოვნება, მებაღეობა, ხელგარჯილობა და სხვა. სკოლას აქვს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სახელოსნოები. ბავშვების მიერ გაკეთებული თოჯინებით დადგეს თოჯინების თეატრის სპექტაკლი. მოსწავლეები პერიოდულად ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და იღებენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო თემებზე, რაც ეხმარებათ მომავალში პროფესიის არჩევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სხვადასხვა პროფესიების წარმოამდგენლების მოწვევა მოსწავლეთან შეხვედრის და მათი ინფორმირების მიზნით. სკოლა, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის DSD (Deutsches Sprachdiplom) მიღების შესაძლებლობას, რის შემდეგაც კურსდამთვრებულებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ გერმანიის სასწავლებლებში. ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებულები აღნიშნული შესაძლებლობის თაობაზე.

მეთერთმეტე კლასელებს აქვთ წლიური პროექტი, სადაც მოსწავლე ირჩევს ერთ სფეროს (მაგ: პროგრამირება,კინო,დიზაინი) საფუძვლიანად შეისწავლის წლის განმავლობაში და წლის ბოლოს წარუდგენს პრეზენტაციას სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

გაწეული მომსახურების შესახებს სკოლა აგროვებს ინფორმაციას მასწავლებლის ან/და ხარისხის ჯგუფის მონიტორინგის საფუძველზე, რასაც ითვალისწინებს მომავალი დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები*
- *ინტერვიუ მასწავლებელთან/მშობელთან/მოსწავლესთან.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმები.

ხარვეზი - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N 16/ნ ბრძანებით დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად, სკოლა ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგების სამინისტროში გადაგზავნას.

სკოლამ არგუმეტირებულ პოზიციასთან ერთად (რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლაში შემუშავებული იყო ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგები, თუმცა არ იყო სამინისტროში გადაგზავნილი), წარმოადგინა დოკუმენტაცია (2025 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, 2025 წლის 29 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი), რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის წესისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში, სსსმ მოსწავლისთვის, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ). ისგ-ს შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი, რომელშიც შედიან: ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტები. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სპექტაკლებსა და სხვა სასკოლო ღონისძიებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის წესი*
- *ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმა*
- *სკოლის მულტიდისციპლინური ჯგუფის ფუნქციები*
- *სხვადასხვა საგანის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი, გახანგრძლივებულის ჯგუფის მოსწავლეთა მშობლებთან სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრავს დამატებითი არასავალდებული ხასიათის მომსახურებას - სხვადასხვა წრეს (რუსული ენა, ორკესტრი/გუნდი).

სკოლის საკუთრებაშია ავტოსატრანსპორტო საშუალება - ავტობუსი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება ექსკურსიის დროს. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ავტობუსის ტექნიკურ გამართულობას.

სკოლას იჯარით გაცემული აქვს სკოლის შენობის გარკვეული ნაწილი სასადილოს ფუნქციონირების მიზნით.

ხარვეზი - სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა, რომ სკოლის კვების ბლოკი აკმაყოფილებს HACCP- ის სტანდარტს.

სკოლამ არგუმეტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის კვების ბლოკი შესაბამისობაში მოვა HACCP- ის სტანდარტთან..

შესრულების ვადა - 30.04.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების თობაზე ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის ტერიტორიაზე მოქმედებს უსაფრთხოების ზოგადი წესები, რომელიც რეგულირდება შინაგანაწესით ან/და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები", რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- *ხელშეკრულება გახანგრძლივებული ჯგუფის მოსწავლის მშობელთან*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 05.11.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: